ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობა

სკვერების აღდგენა-შეკეთების მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა (დეფექტური აქტები) და ესკიზური ნახაზების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის მეშვეობით

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი

2015 წელი

საკონკურსო პირობები

საკონკურსო განცხადება:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობა აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

კონკურსის მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის ტერიტორიაზე **სკვერების აღდგენა-შეკეთების სამუშაოებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა (დეფექტური აქტები) და ესკიზური ნახაზების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.**

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **5 000 (ხუთიათასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის ჩათვლით.**

დაფინანსების წყარო: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით ვაკის რაიონის გამგეობისათვის დამტკიცებული ასიგნებები.

1. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

1.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19[1]-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე (www.procurement.gov.ge).

1.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

2. კონკურსანტის მიერ საკონკურსო პირობების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კონკურსანტის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, ასევე საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარდგენიდან გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე.

5. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იყოს ხელმოწერილი კონკურსანტის უფლებამოსილი პირის მიერ, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

6. კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში, უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტი ენიჭება ქართულს.

7. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილების შესახებ და საკონკურსო წინადადება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ 2015 **წლის 24 აპრილს 09:00 საათიდან 2015 წლის 24 აპრილს 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილი ქუჩა N10[ა], ვაკის რაიონის გამგეობის შენობა, მეორე სართული, საფინანსო ეკონომიკური განყოფილება.**

8.საკონკურსო წინადადებების დალუქული პაკეტების საკონკურსო კომისიის მიერ გახსნა მოხდება - **2015 წლის 24 აპრილს 17:00 საათზე.**

9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

10. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას, არ განიხილება.

11. კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირს 2012 წლიდან დღემდე შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 15 000 (თხუთმეტიათასი) ლარის ღირებულების დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

12. სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორს 2012 წლიდან დღემდე შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 15 000 (თხუთმეტიათასი) ლარის ღირებულების დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის პროცესში მიმწოდებელს ექნება სუბკონტრაქტორის შეცვლის სურვილი, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს შემსყიდველს და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს სუბკონტრაქტორის ცვლილება.

13. მიმწოდებლის მიერ მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის მიხედვით, სკვერების აღდგენა-შეკეთების სამუშაოების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 200 000 (ორასიათასი) ლარს. მშენებლობისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალების სპეციფიკაცია და ელექტროგაყვანილობასთან დაკავშირებული საკითხები (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები) პროექტირების პროცესში უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

14. მომსახურების გაწევის პროცესში შესაძლებელია დასაპროექტებელი მისამართების ცვლილება (მათ შორის რაოდენობრივად) შემსყიდველსა და შემსრულებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების

შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის მიხედვით, სკვერების აღდგენა-შეკეთების სამუშაოების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მე-13 მუხლით განსაზღვრულ თანხას.

15. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

16. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს და ინფორმაციას:

16.1 კონკურსანტის რეკვიზიტები;

16.2. საკონკურსო წინადადების ფასი (დანართი N2-ის შესაბამისად), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;

16.3 ინფორმაცია დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ.

16.4 ინფორმაცია გამოცდილების შესახებ (დანართი #3-ის შესაბამისად).

16.5 ინფორმაცია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროცესში ჩართული პირების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ CV-ის სახით (აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც).

17. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

18. საკონკურსო წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა: კოეფიციენტი - 0.2 ქულა.
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი - 0.6 ქულა.
- გამოცდილება: კოეფიციენტი - 0.2 ქულა.

19. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება 10 ბალიანი სისტემით. გამარჯვებულად ჩაითვლება ის კონკურსანტი, რომელსაც საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

20. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების დასრულება და შემსყიდველისთვის წარდგენა უნდა განხორციელდეს მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში. მე-14 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, მისამართების დამატების შემთხვევაში, დამატებული მისამართების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების დასრულებისა და შემსყიდველისთვის წარდგენისათვის შესაძლებელია განისაზღვროს არაუმეტეს 10 კალენდარული დღე. პროექტირების პროცესში, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის -,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესში“ მოცემული შესასრულებელი სამუშაოების აღმოჩენის შემთხვევაში, ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების გაანგარიშება მოხდეს ზემოთაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

21. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და შემსყიდველის მიერ მოწვეული ექსპერტის (საექსპერტო ჯგუფის) მიერ მასზე გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვის საფუძველზე.

22. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 30 დღის განმავლობაში, ხოლო თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

დამატებითი ინფორმაცია: საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში, მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი,მ. თამარაშვილის #10ა, საკონტაქტო პირი: ნათელა ელიზბარაშვილი ტელ: 2 31 88 45.

დანართი #1

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსოწინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - საკონკურსო წინადადების ფასი;
    - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
    - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
    - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
    - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

დანართი # 2

კონკურსანტის შეთავაზება		
რეკვიზიტები		
	კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი (ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი და გვარი):	
	კონკურსანტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი (პირადი ნომერი):	
	კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული ფოსტის მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
საკონკურსო წინანადების ღირებულება		
	დასახელება	ღირებულება
1	სკვერების აღდგენა-შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენა.	

დანართი #3

#	დამკვეთი	პროექტის დასახელება	მომსახურების გაწევის პერიოდი	განხორციელებული პროექტის ღირებულება

დანართი #4

ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის ტერიტორიაზე

სკვერების აღდგენა-შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

მოთხოვნები, როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1. ინფორმაცია 2012 წლიდან დღემდე განხორციელებული საპროექტო–სახარჯთაღრიხვო მომსახურების შესახებ.

2. აღნიშნული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5 000 (ხუთიათასი) ლარს.

3. სკვერების აღდგენა-შეკეთების შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 200 000 (ორასიათასი) ლარს.

4. მისამართები:

სკვერების შეკეთება

№	მისამართი
1	ბაგები 2 კ
2	მოსაშვილის 9
3	ჭავჭავაძე 11
4	შატბერაშვილის 2
5	გეგეშიძის ბაღი
6	ყიფშიძე 10-12
7	ნუცუბიძის 2 მ.რ. 2 კვ. 7 კორპუსის მიმდებარედ
8	ნუცუბიძის 4 მ.რ. 29 კორპუსის მიმდებარედ
9	ნუცუბიძის 2 მ.რ. 2 კვ. 12 კორპუსის მოპირდაპირედ
10	ნუცუბიძის 2 მ.რ. 3 კვ. 4 კორპუსის მიმდებარედ
11	ნუცუბიძის 3 მ.რ. 2 კვ. 3 კორპუსის მიმდებარედ
12	ნუცუბიძის 4 მ.რ. 11 კორპუსის მიმდებარედ
13	ნუცუბიძის 4 მ.რ. 22 კორპუსის მიმდებარედ
14	ნუცუბიძის 221/4
15	ნუცუბიძის 4 მ.რ. 2-3 კორპუსის მიმდებარედ
16	ვ/ფ 1კვ კორ 24 კორ
17	ვ/ფ 6კვ კორ 24
18	ვაჟა–ფშაველას 7კვ. 16კ
19	ვ/ფ 6კვ კორ 2-10-15 კორპ შორის
20	დ. ამილახვარის 31
21	არსენას 36
22	ამილახვრის 25

5. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისაგან:

ა) კონკრეტული მისამართის ესკიზური ნახაზი;

ბ) კონკრეტული მისამართების სამუშაოების მოცულობების უწყისი;

გ) კონკრეტული მისამართისთვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, მიმდინარე საბაზრო ფასებით;

დ) სრული ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა მოხდეს ელექტრონული ვერსიით (DWG და PDF ფორმატში) და ნაბეჭდი სახით სამ ეგზემპლიარად;

ე) მომსახურების გაწევის პროცესში შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი სხვა დოკუმენტები;

ვ) ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღებები (საჭიროების შემთხვევაში);

ზ) განმარტებითი ბარათი (საჭიროების შემთხვევაში).

6. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს კონსულტაციებისა და ზედამხედველობის გაწევა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სკვერების აღდგენის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (დეფეტური აქტების) კორექტირება სამუშაოების განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.

7. გამარჯვებულმა კონკურსანტმა სკვერების აღდგენის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (დეფეტური აქტების) შედგენის მომსახურების დაწყებამდე, მუშა დოკუმენტაციის მოსამზადებლად მისაღები გადაწყვეტილებები უნდა შეათანხმოს ვაკის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილებასთან.

8. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი: ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. 10ა, ვაკის რაიონის გამგეობა. მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღე.

9. შემსყიდველის მიერ მითითებულ ობიექტებზე გასვლა, აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა, შესაბამისი ესკიზის, დეფექტური აქტისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

10. აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის მართლზომიერად განხორციელების მიზნით ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, ინფორმაციის მოპოვება და მათთან მიზნობრივი კოორდინირება;

11. შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

12. საინფორმაციო მონაცემთა ბაზის წარმოება გამოვლენილი დეფექტების (ფოტომასალის დართვით) და ტექნიკური დავალების აღნუსხვის, დაარქივების მიზნით და შემდგომ ამ ბაზის შემსყიდველისათვის გადაცემა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით.

13. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი .2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის ლაშა აბაშიძის სახით და მეორეს მხრივ …….. (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის …… სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი), შესყიდვის საშუალება,

ხელშეკრულების ღირებულება და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი) - **სკვერების აღდგენა-შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა (დეფექტური აქტები) და ესკიზური ნახაზების შედგენის** მომსახურების შესყიდვა, რომლის აღწერა მოცემულია ფასების ცხრილში დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.2 შესყიდვის საშუალება – კონკურსი;

2.3 კონკურსის განცხადების უნიკალური ნომერი :

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ……. ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;

2.5 კლასიფიკატორის კოდი - 71200000;

2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია 2015 წლის [redacted] ჩათვლით;

3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები.

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: **ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2015 წლის [redacted] ;**

3.2. შესაძლებელია შესასრულებელი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შედგენა შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმებით. გეგმა-გრაფიკის შედგენის შემთხვევაში სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 2015 წლის [redacted] ;

3.3. საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებასა და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების თანამშრომლები, ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობას შემსყიდველის მიერ მოწვეული ექსპერტი (საექსპერტო ჯგუფი).

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლი (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და მითითებულ ვადაში წარმოადგინოს ინსპექტირებული დოკუმენტები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველის მიერ მოწვეული ექსპერტის (საექსპერტო ჯგუფის) მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძელზე. მიღება - ჩაბარების აქტი დამოწმებული უნდა იქნას შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.2 საექსპერტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში დეფექტის ან ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში შემსყიდველი ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების მოცულობებს და წუნდების მიზეზებს.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი გონივრულ ვადაში. დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ვადა თავის მხრივ გავლენას არ ახდენს მომსახურების შესრულების ვადებზე და გეგმა გრაფიკზე.

6.4 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელმა არ გაასწორა გამოვლენილი დეფექტი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადებში, მაშინ შემსყიდველის უფლებამოსილი პირი/პირები შეაფასებს გამოვლენილი დეფექტის და დეფექტის მიერ გამოწვეული ზიანის ღირებულებას, რომელიც გამოიქვითება ანგარიშსწორებით გათვალისწინებული თანხებიდან და დაეკისრება პირგასამტეხლო.

6.5. ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული მომსახურების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს აღმოჩენილი ფაქტიურად გასაწევი მომსახურების გათვალისწინებით, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.6 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით ვაკის რაიონისთვის დამტკიცებული ასიგნებებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(პირგასამტეხლოს ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებელი:

ა) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.2. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ან მომსახურების დაწყების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.5 პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და აუნაზღაუროს მიმწოდებელს შეროვნად შესრულებული მომსახურების ღირებულება;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს პირგასამტეხლოს გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლები გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა;

12.1 მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.2 მხარეებს არა აქვთ უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14.3 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.4 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ნებისმიერი სადაო საკითხი გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, ერთი ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას მიენიჭება უპირატესობა.

16. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
_____	_____